კვირა 20 ივნისი ფასი 10 კაპ.

# მათრახი

№ 25.
-სალამური
ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.
ლითოგრაფია ს. ჭიხოჯისა.

## დუმის სესიის დასასრული.



გუჩკოვი. Еще одно послѣднее насиліе и лѣтопись окончена моя!

## შ ე კ ი თ ხ ვ ა.

—

მზე ამობრწყინდა, გაშალა სხივნი,
ვით მოციმციმე, ბრჭყვიალა მძივნი,
ტყე-მინდორ-ველსა,
მთა-გორა-სერსა
ლამაზ გულ-მკერდზე გადააქსოვა
და მსწრაფლ გააქრო წყვდიადის გროვა
გათენდა დილა,
ვიშ, როგორ გრილა!
ნიავი დაქრის, არხევს ბუჩქნარებს
და ძირს ყრის ციურ მარგალიტ ცვარებს.
ხარობს ცხოველი
არსი ყოველი,
სალამს უძღვნის მზეს, სინათლის წყაროს,
რომელიც მართავს მთელსა სამყაროს.
მე კი წყაროსთან,
მოწანწკარესთან,
ვდგევარ და შევცქერ მნათობს დიდებულს,
ლაჟვარდ სივრცეში გადმოკიდებულს,
და იმის გულზე,
ცეცხლით ქცეულზე
ვკითხულობ ცხადათ, წითლათ წარწერილს
კაცობრიობის ტანჯვას გამოვლილს.
და ვეკითხები:
ნუთუ მსხვერპლები,
რაც რომ შევსწირეთ, არ კმარა, არა
კვლავ ბევრ მსხვერპლს ითხოვს ქვეყნის იარა?!

**ვ. რუხაძე.**

---

## მშიერი და მაძღარი

(საზაფხულო საკითხავი ქართველი ინტელიგენტებისათვის)

ბურჟუა გაძღა ლაზათიანათ:
სუკი შეჭამა (საწებლიანათ,)
ბატკნისა კანჭი ერთი მთლიანათ,
ორი ვარია,
(ორივ ძვლიანათ)
და მხიარული სამართლიანათ,
რაკი საჭმლისა
წაუხდა მადა
დასასვენებლათ გამოემზადა.

—

გამოუთქმელის, კაცისა ენით,
წამოწვა იგი
ოხვრით და ქშენით,
რბილ სავარძელზე
და არა ძელზე.
ტკბილისა რულის მოსავლინებლათ,
გაზეთი იგდო რაღაცა, ხელათ
და მოწინავე
(ნაწერი ვრცელად,
წაუკითხავი ჯერ მისგან მთელად,)
ახლო, თუ შორა,
თვალს გაუსწორა.

—

იმწამსვე, კითხვით თვალ მოკვეთილი,
ჩვენი ბურჟუა,
განცხრომის შვილი,
ოცნების მხარეს გადაგვიფრინდა,
უცხო მუსიკით აგვიხვიხვინდა.

—

მუნ ბნედიანი და კუჭ-მშიერი.
ბუზი უჭკუო,
ბუზი ცბიერი,
ბუზი მსუნაგი და ხალხის მტერი
ოთახის კედლებს ელეწებოდა,
განგებას საზრდოს ეხვეწებოდა.
მაგრამ საკბილო
არა რა სჩანდა...
(ტკბილეულობის წახდა მაზანდა,
თორემ ის ბუზიც
გულს მოიფხანდა!)

—

მაგრამ როდესაც მას შემოესმა,
მძინარე კაცის
უდარდელი ხმა,
მორიდებულათ გაუნავარდა,
ფეხზე დააჯდა...
თავთან ავარდა...
(ოჰ, რომ იცოდეთ რა გაუხარდა!
შიმშილის გრძნობაც გადაუვარდა,
სჩანს იგი კაცი ძლიერ უყვარდა!)
და საარაკო სითამამითა,
შესასვენებლათ, ორი წამითა,
მშიერმა ბუზმა
შესწყვიტა ფრენა,
მძინარის ცხვირზე ჩამოისვენა.

—

ცხვირი კი, ზორბათ წამომართული,
(ვითარცა სახლის
ზემო სართული)
მუსიკაში იყო გართული,
და ძილის პირი, ტკბილი, ქართული
ათასნაირად
გადახლართული,
მუნითგან მწყობრათ აღმოხდებოდა.
ბუზმაც გაიგო
აქ რა ხდებოდა.

—

მსწრაფლ გაისწორა ფრთეთა ნაჭერი,
წამოიმარჯვა ხორთუმის წვერი,
მონახა მილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან შესაფერი
წყარო ქონისა, წითლად ნაფერი...
და იწყო წოვა...
საზრდო იშოვა.

—

ბურჯუა გახლდათ
მრჩობლ მგრძნობიარე,
და, თუმც, სიზმართა ტკბილთ მშობიარე,
არაფერს გრძნობდა
ამა ქვეყნიურს,
და განიცდიდა სიამეს ციურს,
მაინც, ბუზისგან შენაწუხები,
კვლავ ერთხელ
ჰანგებ დანაქუხები
ზე წამოიჭრა,
ცხვირს ხელი იკრა,
მაგრამა ბუზი, ეგ მუქთა-ხორა,
უცებ აფრინდა,
გაუდგა შორა.

—

ბურჯუამ ისევ
მინაბა თვალი,
რა დაისრისა ხორთუმის კვალი.

—

ბუზმაც ძვირფასი
დრო არ დაჰკარგა
და ახლა ყურზე ჩამოებარგა.

—

გამოეღვიძა კვალად მძინარეს,
და არა ძველებრ
პირ მომცინარეს,
არამედ, ვითა დათვსა მძვინვარეს.
და შეუტია აბეზარ მტერსა
კაცმა მაძლარმა,
მშიერსა მწერსა.
წამოჰკრა ხელი მას დასაჭირათ,
მაგრამა, თურმე,
სტოლისა პირათ
საათი იდო, ძვირფასდებული,
და ხელით, შორე გადაგდებული
ნამტვრევათ დახვდა
პატრონს ქცეული.

—

ამან ბურჯუა მთლად გადარია!
უნდა, იყაროს
ბუზზე ჯავრია,
უნდა, იძიოს წუნკალზე შური,
უნდა, დაიცხროს
ბრძოლის ალმური;
და აი, ურცხვად ლამპაზე მჯდომარს
დაუცხრომელსა,
მშიერ მეომარს
შორიდან ზვერავს და ეპარება,

ხან სკამს, ხან კამოდს
მოეფარება.
ოდეს შეზომა მანძილი ხელის
დაუყოვნებლივ, უსწრაფეს ელვის,
მოხერხებულათ გამოჰკრა ტორი
და იატაკზე ნავთისა ტბორი
უეცრივ დადგა მდინარის სწორი.
ბუზი გაფრინდა, ვითარცა ქორი,
არ მოეწონა ნავთისა შმორი...

—

გაშმაგებული ბურჯუა ჩვენი,
(მოხერხებისა ვერ გამომჩენი)
ცოფიანივით თვალთ აბრიალებს,
წაღმა-უკუღმა დარბის, ტრიალებს.
დრო მოვა მტერსაც გაატიალებს.
კედლის სარკეზე შენიშნა იგი,
და როგორც ითხოვს წესი და 'რიგი
მან პირსახოცსა დასტაცა ხელი,
წამოეპარა, ვითარცა გველი,
შხამით აღსავსე, დაუნდობელი
და მოუქნია
მწერს პირსახოცი,
მაგრამა, საქმე აქ გასაოცი
დაატყდა თავზე მეომარს მაძლარს
მარცხი გადასცდა
ყოველგვარ საზღვარს:
სარკე ჩამოწყდა,
სტოლს დაეხეთქა,
სტოლზე მელნისა ბოთლმა იფეთქა
და დააბნელა ოთახის ზღუდე
სარკეც დაიმტვრა გადმონაყუდე.

—

ომში ძლეული,
ბრაზ-მორეული
წახდა ბურჯუა.
დაჰკარგა ჭკუა.
მშიერი ბუზი კვლავ თავს დაბზუის.

—

ნეტავ ამ ორში რომელი, სტყუის?

**ეშმაკი.**



# სტუმარი მოდის!



ხოლერა. , სანიტარებო . აღსდექით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ ო ე ტ ი

(ნადსონით).

დე, შენი ქნარი ცეცხლსა აფრქვევდეს,
სიმართლის ცრემლით ჰდაგავდეს სულსა,
ესაკმევლოს კეთილ სურვილებს
და ტკბილ სამშობლოს წრფელ სიყვარულსა!
დე, ყოველი ხმით წინ გვიწოდებდეს,
ბრძოლაში მოლლილთ იმედათ ექცეს,
გულ გაპობილნი გვირგვინით ამკოს
და შეაჩვენოს ვინც მტერს გაექცეს.
დე, წინ გვიძღოდეს ცხარე ბრძოლაში
და ჩვენთან ერთად ქუხდეს და სჭექდეს,
როს მებრძოლთ ხმალი ჭეშმარიტებას
ქვეყნად იწვევდეს, შავ ჩადრს აფხრეწდეს.
ის ჩვენის გვერდით სალ კლდეთ გადიქცეს,
ბნელეთის ქურუმთ თავს დასცეს რეტი.
ჩვენც მუხლს მოვიყრით მაშინ შენს წინა
და თრთოლვით გეტყვით: ,,შენ ხარ პოეტი!‘‘..

—

შენი სიმღერა, ვით ნაკადული
მოდუდუნებდეს მხიბლავ ზვირთებით,
ჩქეფდეს იმედით და მტკიცე ძალით,
მოაქროლებდეს ტკბილ ღიმილს ფრთებით ..
დე, გაგვარინდოს ციურმა ხმებმა,
გადაგვატაროს ოცნების მხარეს,
სადაც ვერ ვხედავთ მწარე ცრემლთ დენას,
ტირილს, სისხლით ცლას და სიმწუხარეს;
სად სიყვარული სილამაზესთან
ტახტზე დამჯდარა, შვების მომგვრელი,
დე, გული ატკბოს იქ უზრუნველათ
და დაგვავიწყოს აწმყო შავ-ბნელი...
ახალგაზრდობის დღენი გვაგონოს,
გულში აჩქეფოს გრძნობა უშრეტი
და ჩვენც ვაკურთხებთ მაშინ შენს კალამს
და თრთოლვით გეტყვით: ,,შენ ხარ პოეტი‘‘...

**ვ. მალაქიაშვილი.**

# გურული სცენა.

(გასამართლება)

— ყაზილარი მყავდა დაჭირული, მეზობელმა უჩივლა: არ დამაყენა, არ მომასვენა აფერი სიტყვა არ გევიდა, არ მომცა საშველ-სახიდებელიო—ჩემი ხელით დასარჩობია, მარა მეც ქე გამომიცდია ბალნობა და რას იზამ, კაი რომ გლახა იყოს, მაინც ჩემი შვილია, ვინ გამომიცვლის.

მითხრეს: კაი ადუკატი თვ.რ იშონე, ციმბირს აქეთ არ დატიებენ, კატორღაში გააგზანიანო. შვილი ვის არ იეწონება, მე კიდევ მე ვარ, კაცი ვარ მაინც და დედა მისმა თლა მეიკლა თავი. ძროხა და ცალი ხარი გავყიდე, ორი ქცევა მიწა დავაგირავე და ჩამევედი თფილისში, აქანაი მირჩიეს, კაისაგან კაი ადუკატებია და არც ისე გაიმასქნილი არიან, ქუთაისში რომააო. ჩამევედი, აქანაი მეზობელი მყავს, იმაზე მსახურებს უხაროთ და უცხენოთ ულიცაში რომ დაჭიანობს. წამევიდე შინიდან მისი ანდერძი, ვნახე, ჩემი გაჭივრება უთხარი—იგი თფილის ქალაქში ძალიანი მიღებული კაცია, ვინც დაჯდება კონკაში, უმისოთ ბანდალს ვერ იზამს. ბილეთიც მან უნდა მეუხიოს და სვისტოკიც მან უნდა მისცეს; ქვეყანას იცნობს.

— ძალიანი კაიო, მითხრა, ადუკანტს ერთს კი არა, თუ გინდა ასს გიშონიო. მითხრა—ამეღამ ჩემთან წამოიტრიატში, განდეგილის გასამართლებააო. უყურე ადუკატებს იქინეი იქნება თავმოყრილი, ქართულათ ილაპარიკებენ და რომელიც მოგეწონოს, იგი ეირჩიეო. გასამართლება კი გამიგონია, მარა სუდში და კანცელარიაზე, ტრიატში თუ იქნებოდა, აგი არ მგონებია—მარა ხამობა არ შევიფერე—წევედით სალამოს. ქვეყანას იქინეი მოეყარა თავი, ჩვენი ქვეყნის ბევრი ვნახე—კიხადა ფარდა—მაღალ ადგილზე ჯდანარიან ისე, რავაც სუდში. აგი ოკრუჟნი სუდიაო, აგი პროკურორებიაო, აგი ადუკატებიაო, აგინი ნაფიცი მსაჯულებიაო.

ოკრუჟნი სუდში ჩემი მეზობელი ამბაკოს შვილიც ქე ერია, გრიგოლი, ძალიანი დაწინაურებულა, ჩინელობა თუ იშონა მეთქი, გულში ვთქვი. ეგერ ერთ კუთხეში ერთი ბერი იჯდა, შემოქმედის მონასტრის ბერს გავდა თლათ. თურმე აგი ბერი ქვეყნის დამაქციერიც კია და ქვეყნის გამავეთებელი—ასე თქვეს ნასტავლმა კაცებმა და მე რა ვიცი. დეიწყო პრესადატელმა:—ამ ბერმა, ამ განდეგილმაო, ქვეყანა მიატიაო, საცხა გაყინულ ფთაში საყორნიაზე წევიდაო, იქინე ჰექა ქუხილი ატყდაო, ერთი ქალი ცხვარს აბალახებდაო, გურგულაის შიეშინა და ბერთან მივიდა ღამის გასათევათო. ქალი ძალიან ლამაზი იყოვო; რომ დიეძინა, ბერს შიეხარბა, გულში ეშმაკმა გუუხიცინაო და ქალის კოცნა დააპირა, მარა ქე შამეიკავა თავიო, აღარ უკოცნიაო.—აგი ისე ეწყინა, რომ ქე მოკტა და ახლა აგი უნდა გავასამართლოთო. მუნჯათ კი იყო იგი ბერი დამჯდარი, მარა მკტარი არ მგონია რომ ყოფილიყოს. აგი კი გამიკვირდა: კვტარს რუსის მთავრობა არ სჯის და აგინს რაფერ დიემართა აგი, ნაბრძანები თუ არ ქონდენ. წამოდგა ერთი ახალგაზრდა ადუკანტი, ერთი კედრიდგან გაამტყუნა, მარა რაფერ გაამტყუნა. საწყალი ბერი რაცხა ასი კეტაი იყოვო, ქვეყანა არ უყვარდაო, მიატიაო, რეიზა იმ ლამაზ გოგოს არ აკოცაო; კიდევ ბევრი ილაპარაკა, მარა ყველაი ვერ მივხთი—ჩემს მეზობელს უთხარი, აგია გავკეთდი კაცი, ჩემი ვარლამაიზა, ამის უკეთეს ადუკატს ვის ვიშონი მეთქი. იმიზა თუ არ გაამტყუნა იგი ბერი, ჩემს ვარლამს რაღა უჭირს აწი მეთქი.

იგი რომ გაჩუმდა, მერე მიორე წამოდგა, იმანაც დეიწყო რაცხა ლაპარიკი, სალაპარიკო რომ დიელია, რაცხა კითხვა დეიწყო, მარა ნამეტარი ნასტავლი ყოფილა ვინცხაა, ზაგრანიცაში გუუთავებია სტავლა. ისე ჩქარა კითხულობდა, გაჭენებული კურიერსკი პოეზდი ვერ მიეწეოდა. მისი სწორეფ ვეფერი გევიგე რა თქვა, მარა რაცხას იგიც ამტყუნებდა. რა ვიცი, იქნება იგი იმაში ამტყუნებდა, რეიზა გვირგვინი არ იფსკვნა იმ ქალზეო. მერე წამოდგა აქედგან ერთი მაღალი ადუკანტი, იმ კვტარ ბერს ყავდა ნაქირავები. ჩვენი ბერი ნამეტარი კაი ბერი იყოვო, აფერი გასამტყუნარი არ აქ—არ შიეძლო სოფელში ყოფნა და არ მეიცადაო. სხვის გაკეთებულ საჭმელს ხომ ვერ ჭამდაო. იმან რომ გაათავა, მერე მორე ჯიკვატაი ადუკატი წამოდგა—რაცხა კი ყოფილა აგი ბერი მტყუანი, თვარა ორი ადუკატი რათ უნდოდა. ამ მეორემ ძალიანი ილაპარიკა, ბევრი გვაცინა. ჯიკვიც კი გამახსენა—ვინცხა ძალიან მხიარული კაცია, მარა ვარლამაიზა არ მარგია და ისე, ციცაი თუ გავათხუე, ტოლუბაშათ დავპაიჯებ, ნამეტარი კი იქნება.

იმის იგი ძალიანი მომეწონა, სოფელში ყოფნა და შპიონობას, ან სტრაჟნიკობას ბერობა ჯობსო, თქვა. მოგიწერე ხელი! ბერობა არა მგელობა ჯობს. ბოლოს ნაფიც სუდიებს კითხეს: თქვენ რას იტყვითო; გევიდენ ცალკე ოთახში გამევიდენ და ერთმა გამოაცხადა: მტყუანიც არის და მართალიცო. არც ციხე მუსჯიან და არც აფერი. ნეტაი ჩემი ვარლამიეს საქმესაც აგინს გავარჩევიებდე!

მერე რაცხა იმისთანაი წარმოადგინეს, სხვაი სიცილით კტებოდა, მე კეკალი გული მომეჭეჭკა. ამფერი თუ არიან ჩვენი სტუდენტები—მამა ნუ წამიწყდება ამ სტუდენტობას ისევ ლე ბერობა ჯობნებია. აწი აგი კვტარი ბერი არ გიესამართლებიენ, საცხა მიდა აგდია ფთაში, აგი სტუდენტები გიესამართლებიენ და ას-ასი როზგი დიერტყენ, იგი არ ჯობდა, მარა დაზოგეს. შარშან იგინიც ისე იქნებოდენ. დედავ, წავხთი, ბანქოის თამაშობის მეტს თუ აფერს აკეთებდენ, ამის უნივერტეტი ექვთიმე ჩხატარაიშვილის წისქვილში აქვენ გართული ხელოვნებს... ამიტა პატრიარქში რეიზა მიდიან, აგერ მევიდენ შემოქმედში.

პიტნა.

---

# ფიჩხის გულისთვის

I

გოგიამ ღმერთი ახსენა,
ურემს შეუბა ხარები,
სანამდის გათენდებოდა
გადაათავა ყანები.
ხან გარდასძახებს: ხარებო,
გასწიეთ გენაცვალეო,
ხან ნაღვლიანათ ღიღინებს:
„ოდელა-დელა ლალეო,
მომძულდა მწარე ცხოვრება,
მოვდუნდი მოვილალეო,
რას ვაქნევ ნეტავ სიცოცხლეს
თუ ველარ გავიხარეო...
ტყე მე არა მაქვს, მამული
ერთი ნამცეცი მიწაო,
მუქთა ხორების ხელშია,
რაღაც ეშმაკმა მისცაო...
თოფით უდგიან კარებში
და რომ მოგასწრონ ფიჩხზეო,
ღმერთსაც არ მოგახმარებენ
ზე აგაგებენ ხიშტზეო.
ჭირიმე ცხრაას ხუთი წლის
მალამო იყო წყლულისო,
თუ დაბრუნდება ნეტავი
იმედი დაჩაგრულისო?
ჰეი, შე ლომავ, ტიგურავ,
ვიჩქაროთ გენაცვალეო''
ჯერ ეძინება მცველებსა
ჩვენ გამოვიდეთ მალეო...
ესა სთქვა, შოლტი გადაჰკრა,
ხარებმაც აუჩქარესა...
მზემ ნისკარტი ჰკრა, ურემიც
შავს ტყეში შეატარესა.

II

სამების მთისა კენწეროს
მზემ სხივი გადმოაყარა,
აქმიარულდენ ფრინველნი,
დაჰკრეს ბუკი და ნღარა .
კვლავ ახმაურდა სოფელი
შეება შრომის უღელში,
გოგიას სახლშიც, ქალიას
ცეცხლი უნთია ღუმელში.
ყველს იღებს, ქათმებს უქშიებს,
ცალ ფეხით არწევს აკვანსა.
თან დაღიღინებს პატარას
ალერსიანათ ნანასა:
„იძინე, ღმერთი დაგაცლის,
ნანინა შვილო ნანაო,
ღვთის მშობლის თვალი
დაგყურებს
ანგელოზნებიც თანაო,
ტანჯული დედის ძუძუს რძით
ჯერ კიდევ ინეტარეო,
წამოიზრდები, გაიგებ
რა დღე გვადგია მწარეო,
ერთხელ იქნება, ვინ იცის,
ბედმა იბრუნოს პირიო,
კარგს დროს მოესწრო, აგშორეს
ჩვენსავით ტანჯვა, ჭირიო,
საცაა მოვა მამაც,
ადიას მოაგოგებსო,
დაგსვამს ჭრიალა ურემზე
მთელ ეზოს მოგაღოღებსო.
კიდევაც ჩაგძინებია,
შენ გენაცვალოს დედაო,
ფურცელსაც ცვარი შეაშრა
ყაჯებსა მიუხედაო.“

III

მზემ აიწია, ასიცხდა
აღარ ჭაჭანებს ბორია,
გზის პირად ჩრდილში დამსხდარა
დაღლილი მგზავრი ორია:
—იცი, ესიკავ, ამ დილას
გოგია ძალ ტყავაძესა,
თურმე ფიჩხზე წასულა
მარა გაბმულა მახესა.
უღმერთო, ტყისა მცველები
წამოსწევიან გზაზედა,
ტიგურა ხარი რომ ჰყავდა
ტყვია მოურტყამთ თავზედა.
გაცოფებულსა გოგიას
ხელი გაუსვამს წალდზედა,
ისე დაუკრავს ერთისთვის
ტყვინი დაუსხამს ქვაზედა...
—ვაიმე ქმარო, ოჯახო,
ქალმა იკივლა ხეზედა,

მიცვივდენ მგზავრნი, ქალია
სულსა ლევს სარის წვერზედა...
გვიშველეთ, მორთეს ღრიალი,
მოაქვთ წამალი და წყალი,
ექიმიც, მაგრამ აღარა,
ის მკვდარი დახვდათ საწყალი...
პეტრემ შებღავლა, ესიკა!:
„ჩვენ წევიწყმიდეთ სულიო,
ვინ იფიქრებდა ბოლოს ჩხოტდა
საბრალო, დამალულიო.“

**შხანკოლა.**

---



# ორი ეშმაკი.

**პ. ეშმაკი.** გაიგებდი, როგორ გათავდა შავი ქვის მრეწველთა სიეზდი?

**მ. ეშმაკი.** Ну... еще бы' ბამბა კი არ მქონია ყურში. შენ გგონია მე საქვეყნო პოლიტიკას თვალს არ ვადევნებ? მეორეთ არ გაბედო მაგისთანა, თვარა ან შენ და ან მე.

**პ. ეშმაკი.** კარგი, კარგი, სული ნუ წაგიწყდება! შენ რაღაც ჩხუბის გუნებაზე ხარ? ამირაჯიბისაგან ხომ არ შეგისწავლია კისრის გაკიცხვა და საფეთქლებში შენიშვნა?

**მ. ეშმაკი.** კაი, იკმარე ლათაიები! რაზე მეკითხებოდი?

**პ. ეშმაკი.** რაზე და მრეწველთა სიეზდზე!

**მ. ეშმაკი.** ჰოო! გეიტანა, ძმაო, ბურთი ლელოში ზდანოვიჩმა?

**პ. ეშმაკი.** არა, ერთი ესეც მითხარი: როგორ უყურებ შენ ზდანოვიჩის საქციელს?.. სიეზდამდე იძახოდა: თავს ვანებებ თავმჯდომარეობას, არაფრის გულისათვის არ დავრჩებიო, ახლა კი ასე მოიქცა.

**მ. ეშმაკი.** ეი, უი, ბიძიკელა! განა პირველათ იქცევა ასე გიორგი ფელიქსოვიჩი? ეს ხომ საარჩევნო ქამანდია?

**პ. ეშმაკი.** მაინც რაც უნდა იყოს, „სოციალისტ“ კაცს აგი არ შეფერის, ბურჟუამ რო ქნას კიდო ხო...

**მ. ეშმაკი.** შენც მოგცლია ერთი! Тоже... ხომ იცი ერთნაირი ქუდი როა: წინ ზრასტი, უკან პრაშჩაი. ასეა ფელიქსოვიჩიც: ერთის მხრით „სოციალისტია“ და მეორე მხრით ბურჟუა.

**პ. ეშმაკი.** მერე ეს ორი ცნება ერთმანეთში მოთავსდება?

**მ. ეშმაკი.** ეს კითხე ჩვენს „უკუჭო“ ინტელიგენციას.

**პ. ეშმაკი.** ვინაა ეს უკუჭო ინტელიგენცია?

**მ. ეშმაკი.** ყველა ზდანოვიჩელები.

**პ. ეშმაკი.** კაცო, ისინი რო უკუჭონი იყვნენ, სიეზდი ჯამაგირსაც არ მიუმატებდა. შარშან წინ დააკლეს, წელს კი მიუმატეს.

**მ. ეშმაკი.** ნუ თუ არ იცი პრინციპი: მაამებ მეტს მოგცემ, მაწყენინებ ნაკლებს.

**პ. ეშმაკი.** ამ დიდებს რო მოუმატეს ჯამაგირი, წვრილმა მოსამსახურეებმა რა აწყენინეს „ხაზეინებს“?

**მ. ეშმაკი.** ისა, რომ.. ხომ იცი აკაკის გადმონაკეთები არაკის ერთი ადგილი: „შენი ჩაკვრეხა რო მინდა, მიზეზათ ისიც კმარაო“.

**პ. ეშმაკი.** ჰმ! სად ყოფილა ჯოლორის თავიმაშ ქეიფობს ფელიქსოვიჩი, ა?

**მ. ეშმაკი.** ჰერში ისვრი ქუდსო. ჯერ ქუთაისში ჩაუბუქნა და შემდეგ ჰიათურაში.

**პ. ეშმაკი.** ერთ რამეს კიდევ გკითხავ და არ გეწყინოს თუ ძმობა გწამს.

**მ. ეშმაკი.** ბატონი ბრძანდები.

**პ. ეშმაკი.** ერთი ეს ამიხსენი: როცა ზდანოვიჩს უსმენ, ან მის ეხლანდელ ნაწერს კითხულობ, არ შეგიძლია არა სთქვა, რომ ამ ადამიანში რაღაც რევოლიუციონური სული არ ტრიალობს... ტერმინები, სიტყვები, მოქცევა, პასუხი...

**მ. ეშმაკი.** Эхъ, братъ! это остатки былого величія и только.

**პ. ეშმაკი.** (პესიმისტურათ) არც ისე წმინდა ყოფილა ქვეყანა, მე რო მეგონა.

**ეშმაკუნა.**

---

## შ ა რ ა დ ა.

ნეტავი რა დროს შარადა,
ან რა დროს გამოცანაა?
ზაფხულის ბუღში ვიხრჩვებით,
ჯოჯოხეთური ხანაა!
მაგრამ რას იზამ, ასეა,
ბედი უბედო პირების:
ასრულებაა საჭირო
წინასწარ დანაპირების!
თუ სალმრთო სჯული არ იცით,
ხათაბალა და ჭირია,
ძე ღვთისა იშვა იმაში,
რისი სახელიც გვჭირია...
სასტუმროები, ხომ გახსოვთ,
სხვებს ჰქონდათ დანაჭირია,
და იოსებმა მონახა
ბეთლემის განაპირია.
საგანი ამა სახელის
არც ჩვენში გახლავს ძვირია,
ხშირად გვიბია იმასთან:
ძროხა, ცხენი, თუ ვირია,
მაგრამ მას წინა ანბანი
დიახაც არა სჭირია.
და მოაშორეთ, თუ კიეს
არ დარჩეს გასაჭირია.
ახლა მეორე სახელის
გვმართებს ძებნა და ძიება...
თუ შენ რაიმე საქმეზე
გქონია გამოძიება,
სუდში ყოფილხარ, ვერ ნახე,
სწორეთ არ გეაპტიება.
ერთგვარი სამოსელია
ის, კალთებ ჩამოკვეცილნი
აბლაკატები იცვამენ,
ანუ ნაფიცნი ვექილნი,
სხვა და სხვა ხრიკოსნობაში
ნაწრთობნი, გამოქექილნი.
არც ამა სიტყვას სჭირია
ანბანი წინა მდებარე
და კვლავ გეძლევათ შემთხვევა:
მოჰკლათ სურვილი მგზნებარე,
აღმართოთ ხელი, კალამი
წამოიმარჯვოთ მდებარე,
წაშალოთ იგი ანბანი
არაფრის არა მრგებარე.
შემდეგ კი ამა სიტყვების
ერთ-ურთზე გმართებს მიწყობა
და გამოცანაც მზათაა:
ის სწორეთ მაშინ იწყობა,
როცა მზე თავზე დაგვაჭერს
სიცხით ქვეყანა იწოზა,
როცა არა ღირს ბარშიგან
არც ლხინი, არცა ფნიწობა,
როცა ჰაერში ბუღი დგას,
მიწას წაუხდეს მიწობა,
როცა მოდუნდეს არსება,
ძარღვებს წაუხდეს წიწობა,
მაშინ დაიწყოს ყოველმან
საქმისა შეკოწიწობა,
მსწრაფლ მოაგონდეს ეგ სიტყვა,
გაუქრეს გულმავიწყობა.
ვერ გამოცნობა შარადის,
ეს იქნებოდა ბრიყვობა.

**კოლი.**

---

## ლექტორი მატრაკვეცაძე.

„დასწყევლოს ღმერთმა! რაზე აქნობამდე არ მომაგონდა ეს გარემოება! სულელი ვარ, ფულის საშოვნი ყველა წყარო დამიშრა მეგონა! ტფუ!" სთქვა თავის უკმაყოფილო მატრაკვეცაძემ და ზეზე წამოიჭრა. ,,ლექცია, ლექცია! როგორ არ მომაგონდა ეს რჯულ ძაღლი, ახლობამე! მეკითხა მე უბედურს უფრო ადრე, რაზე დავაგვიანე; ხო ორ ნაირ სარგებლობას მოვიტანდი: ერთი რომ ხალხს განვავითარებდი და მეორე ჩემს ჯიბესაც გავისქელებდი...

ფიქრი და საქმე ერთი იყო. მატრაკვეცაძე ხელათ მოუჯდა მაგიდას, შუბლზე თითი მიიბჯინა, მარცხენა ხელით კი წვერებს დაუწყო ვარცხნა. ულვაშებზე რო შეხედავდით, ასე გეგონებოდათ ამ კაცს მერცხალი გადუყლაპავს და ფრთები კარში დარჩენიაო.

,,რაზე დავსწერო ლექცია, ა? რა ტემაზე? რო არ მოდის ეს ოხერი?

დიდხანს იყო მატრაკვეცაძე ამ ტრაღიკულ კითხვის წინაშე კომიკურათ მოკაკული, მარა მაინც არ მოფრინდა ტემა, არ სჩანს ზეშთაგონება.

,,ევრიკა'', უცებ შებღავლა და ერთი ისეთი შეკვინტრიშდა, როგორც ახალ გამოშვებული ხბო. მაშინვე კალამი მელანში ამოაცურა და ლამაზად დასწერა „ცხოვრება, როგორც ასეთი''.

,,დიახ, ესაა ჩემი ტემა. ახლა მასალებია საჭირო! ვისა აქვს ამაზე რაიმე გამოკვლევა ...ა? რო არ ვიცი... დასწყევლოს ღმერთმა, ,,ღმერთო მომაგონე''... აქაც ბევრი იფირქა (უკაცრავად იფიქრა) მატრაკვეცაძემ, მარა სამუდამოთ დაეხშო ზეშთაგონების კარები; გაქრა მეხსიერება. მატრაკვეცაძე მუდამ ჰკვიანად იქცეოდა! თავის სიცოცხლეში არც ერთი წიგნის უკანასკნელი გვერდი არ წაუკითხავს. მან ყველა წიგნის სახელი იცოდა, ავტორის ვინაობას და მოკლე ბიოვრაფიას ხელათ გეტყოდა, და მორჩა. ხოლო რაც შეეხება თვითონ შინაარსს, ეს

რა საჭირო იყო მატრაკვეცაძისათვის, ისედაც ითვლად მიდიოდა ავტორების სახელების ბრახა-ბრუხით და მათი ცხოვრებიდან სხვა და სხვა ეპიზოდების ცოდნით. დიდხან იყო თავჩამომჯავებული, ბოლოს მოიგონა ნიკო ჩარხაძის წიგნი ამ საინტერესო საკითხზე.

— მაშ გაიჩარხა საქმე, მიდის ლექცია!!! მატრაკვეცაძე ვერ დამაგრდა სკამზე და ზეზე წამოიჭრა, საქოჩრეზე ქუდი მოიგდო და თავის გრძელი ფეხებით ბაზრისაკენ გაეშურა.

—იცით, მე ლექციას ვსწერ, ლექციას! ლექტორი ვიქნები, იცით? გიგლა ერთი შენ ნიკო ჩარხაძის წიგნი მიშოვე სადმე, მინდა წავიკითხო და გავარჩიო, იცი? აბა მალე, მალე შენი ჭირიმე!!!

სადამოზე ყველამ იცოდა, რომ მატრაკვეცაძე ლექციას უჯდა და აცხობდა... არც მოტყუებულან. მატრაკვეცაძე გაფაციცებით აფხაჭუნებდა კალამს და შავათ აყამირებდა ქაღალდს. ერთი წინადადება აქ მოიპარა, მეორე იქ, ერთი აზრი ივანეს მოპარა, მეორე პეტრეს შეაკოწიწა ერთმანეთს, შეხანხლა, შეადომხალა და ლექციაც გამოცხვა. შემდეგ ერთი გაიზმორა, თათქარი გულით ლოგინზე გაწვა და მოყვა ოცნებას:

—ჩამოუვლი ყველა დაბა ქალაქებს დასავლეთ საქართველოში, თითო ადგილას არა ნაკლებ ასი მანეთისა შემომივა. სულ ცოტა რო ვსთქვა 2000 მანეთს დავითრევ. ესეც კაი საქმეა. მერეა და ხო გამწევენ და გამბერავენ და ის იქნება. ნაცნობი ბევრი მყავს, რეცენზიას ყველა კარგს დამიწერს, რედაქციებშიც მიცნობენ... თუ ამოუდექი რობაქიძეს გვერდში მე ვიქნეაი ბიჭი და...ა? მაშ, გამოიჭიმება ჩემი გვარი აფიშებზე? იფ!.. იფ!.. ამ ლექციას მეორე უნდა მოვაყოლო, მესამე, მეოთხე. ტემებია საჭირო...მალე მოვიგონებ ამასაც... მომითმინეთ ერთი კიდეც მოვიგონე ,,კოოპერაცია, როგორც ისეთი''. ხელათ წამოხტა და ეს სათაურიც დაიწერა.

—

მატრაკვეცაძე ხალხშია. ჯიბეში ხელები ჩაურჭვია და ტრიალებს, როგორც ლექტორს შეშვენისტანს კუდბოძალა სერთუკი აცვია.

— იცით რა გითხრათ. დღეს ხუთი წერილი მივიღე ერთათ ჩვენი ახალგაზრდა პოეტებიდან. მწერენ გაგვარჩიეო და მეც უნდა საქმეს შევუდგე, ყველას გავანიავებ... ჯერ მოვრჩე ამ ლექციას და შემდეგ მე ვიცი... ბატონო, ჩვენს პოეტებს განვითარება აკლიათ, ხელმძღვანელი არა ყავთ... აი მაგალითად ავიღოთ ერთი ვაჟბატონი, თავისი თავის პოეტათ მაღიარებელი... იცით ვინც მყავს სახეში, ჩვენი მეზობელია. რა უნდა დაწეროს იმან, ვის რა უნდა ასწავლოს? მე რო „კვალში“ მეთაურებს ვსწერდი. (ამ დროს ვიღაცას დაახველა) ის სემინარიაში ანბანს სწავლობდა. ხო, რას უნდა მოველოდეთ ჩვენი ლიტერატურიდან ერთი მიფხრიეთ!!!

ყველანი გაკვირვებით უცქერენ მატრაკვეცაძეს: ზოგს უკვირს, თუ რათ დღემდი არ იფეთქა ამ კრიტიკულმა ნიჭმა, ზოგი კი ცალყბათ იღრიჭება. მატრაკვეცაძე კი საქმეშია! ან კი როგორ არ შესტოპოს, როცა დღეს მშობელ დაბაში ლექტორის სახით უნდა გამოვიდეს. პირველათ აქ კითხულობს ის ლექციას. აფიშები უკვე გაკრულია, ვებერთელა ასოებით დაბეჭდილი, მოვარაყებული, მოყვითლული.

— მაშ, შენ, ჩემო კიკო, რეცენზიას დასწერ... ან თუ გინდა მე დაგიწერ და შენ გადასწერე,— ჩასჩურჩულა ყურში ერთს ახალგაზრდას მატრაკვეცაძემ ლექციის დაწყების წინ და თან შეეხვეწა, მიდი ჩუმათ და გამიგე აბა, ბილეთი რამდენი გაიყიდაო. ორასი მანეთი თუ გინდა ჯიბეში ედოს მატრაკვეცაძეს, უკვე გაითვალისწინა სად დახარჯოს.

მეხუთე დღეა უკვე რაც სამშობლო დაბაში მატრაკვეცაძემ ლექცია წაიკითხა და რაკი სანდო რეცენზენტი არავინ აღმოუჩნდა, თვითონ დასწერა რეცენზია და სხვისი სახელით გაგზავნა გაზეთში.

ელის, როდის დაიბეჭდება, რომ ამით სახელ გაკეთებულმა სხვა ქალაქებსაც ეწვიოს. ყოველ წამს იმ გაზეთზე ფიქრობს, რომელშიაც რეცენზია უნდა დაიბეჭდოს. ფიქრობს: „წერილი უკვე მიღებული ექნება რედაქციას, ალბათ აწყობილიცაა... ხვალ აქ იქნება უთუოდ... იფ, რა რეცენზიაა! ალბათ სხვა გაზეთებიც გადაბეჭდავენ... მაშინ კი გავუსწევ სხვა ქალაქებ შუა''... ელის გულის ფანცქალით მიტრაკველაძე, ელის...

**შხანკოლა.**

---

# მთის გადაღმისკენ.

(ფანტაზია სურათებათ)

(გაგრძელება.)

**მეფე-ყინვა.** (მღერის) ,,მე მეფეთა მეფე მქვია,
მეფე ყინვა, ყინვა-ცივი,
მთის წვეროსგან მთა და ბარს რომ
გადავყურებ, ვით არწივი.
ბზინავს, brწყინავს ჩემი ტახტი
სხვა და სხვა თვალ-მარგალიტით,
რომელთაც მე მიზიდავენ
ქარნი ყოველ კიდის კიდით:
იქ—ალმასი, იქ—ბროლი!..
იქ—ზურმუხტი!.. იქ—ფირუზი!
ამ ნაირად შემკულია
ჩემ საჯდომათ ეგ მთის კუზი.
არც ერთ მეფეს ქვეყნის პირათ
არ აქვს ესდენ სამკაული;
რაც მთათ გულში საუნჯე მაქვს,
არის ხომ მთლად სასწაული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც თუ ვინმე ძალით მჯობნის,
გინდ მოუხმონ ზღვა ხმელთ ლაშქარს,
მათი ტყვია ყუმბარები
ვერ ავნებენ ამ ჩემს აბჯარს.

არვის ძალუძს ჩემი არე,
რომ ანაზდათ გადასთელოს,
ჩემთან ბრძოლა მოიგოს და
ამით თავი ისახელოს.

თვით მძლეთა მძლე ამირანმაც
ვერ მოიგო ჩემთან ომი,
და დღეს ჯაჭვით დაბმული მყავს
ის დევ-გმირი, იგი ლომი!

ჩემს სამეფოს ალაყაფის
ის კარებთან იტანჯება...
და უბრალო მომაკვდავი,
მე რომ მძლიოს ვინ იქნება?!.

ჯადო-წყვდიადს ბრძანება აქვს,
ჩემს ხელ-ქვეითს, ამ ჩემს მსახურს!
ის სამეფოს საზღვარზე სდგას
და ადევნებს იმას თვალ-ყურს:

მთის მწვერვლისკენ მავალს იგი
ბნელ მანდილით თვალს აუხვევს,
და თუ მგზავრი სვლას არ შესწყვეტს,
ნამდვილ გზიდან გადაუხვევს.

კუპრივით შავს მთის წიაღში
ჯადო ბნელი მას ატარებს,
ასე სტანჯავს და განაწვალს,
აფთარ შიმშილს ჩააბარებს.

აფთარ-შიმშილს, მხარზე კომბლით
და ხელში მჭერს მძიმე ლახტის,
სამეფოს გზა აბარია.
ერთგულია ჩემი ტახტის.

მის რისხვას ვინ გადურჩება?
თუგინდ კბილით რკინას სტკვერდეს,
მაინც იმის მძიმე ლახტ-ქვეშ
ვინძლო ისიც დაცამტვერდეს.

ასეთია ჩემს სამეფოს წესი
მცველთ და მოდარაჯეთ,
და მეც ტახტზე მტკიცედ ვზივარ
ბრძანებლობის მძლეთ მძლე საქეთ:

თვალს ვადევნებ არე-მარეს,
მთისა ბილიკს, მასზე მავალს,
მთაში ბევრჯერ ვამარჯვებულს
და აწ ჩემსკენ მხნედ მომავალს.

მას უნდა, რომ ჩემი არე
გადასთელოს, გადალახოს...
არა, გიჟი უნდა იყვეს,
ეს რომ კაცმა განიზრახოს!..

სად იგი და სად ეგ საქმე,
შეუძლებელ-შეუსრული?
სჩანს, დიდია მაგ საწყალში
,,მზის სამეფოს'' სიყვარული!

გრძნობას გულში ჩავუყინავ,
გარს წყვდიადით შემოვბურავ,
და მის მიერ გაჭრილ ბილიკს,
ზედვე ცრემლით დავაწურავ.

და ცრემლი ხომ დაკნინების
და წახდომის ნიშანია!
აგრე ბევრსაც შევხვედრივარ,
თავი არ შემიფხანია.

მაშ, მოვიდეს, მომავალი,
მზათ ვართ იმის სამასპინძლოთ
ვინძლო მისი ,,სამსახური''
შესაკადრი ჩვენ შევიძლოთ!..

მე მეფეთა მეფე მქვია,
მეფე — ყინვა, ყინვა ცივი
მთისა ბილიკს მაზედ მავალს
გადავყურებ ვით არწივი!''..

ბუმბერაზი მთის მაღალს მწვერვალზე
ასე მღეროდა ყინვა ზვიადი
და მის ფერხთა ქვეშ ერთგულ დარაჯათ,
გადაშლილიყო ღამის წყვდიადი.

შორს, მთის ფერდობზე კი. . მუშაობდენ:
იქ მგზავრსა მგზავრი ემატებოდა,
ბარიდან კაცსა მოსდევდა კაცი
და მთის წვერისკენ ეშურებოდა.

წერაქვებითა, ლომებით ხელში,
გაყვანილს ბილიკს აფართოებდენ
და დაუნგრეველს, გაუსწორებელს
ერთ გოჯა მიწას აღარ სტოებდენ.

ტყდებოდა სიპი, ცვივოდენ ქვები
უქვო მიწას კი ხდებოდა ბარი,
და უკან ღამის უკუნეთ ბნელში
წითლად ელავდა გზა განათხარი.

აღარ უჩანდა კიდე-საზღვარი
მგზავრთ მკლავთ მიმოხრას და გულთა ძგერას,
გზას მიიჭრიდენ, წინ მიიწევდენ
და დასძახოდენ გმირულ სიმღერას:

,,დაარტყი ლომი!. დაჰკარ წერაქვი!..
გადავასწოროთ გზისა ნაპირი...
ჩვენ ხომ არ ვიცით, რა არის შიში,
უკან დახევა და გასაჭირი?

ჩვენ გვაიძულებს წყეული აწმყო
ამ ძნიად გზაზე ოფლისა წურვას:
მომავალ წყებას ვუმზადებთ ლხინსა,
ჩვენ კი ვატარებთ ჩვენს გულში ურვას.

გავსჭრით დიად გზას: მთას გადავლახავთ!
ჩვენ ვერ შეგვაკრთობს შიმშილ-სიცივე,
დაბრკოლებანი წინაშე ჩვენსა
ამაო არის სუყოველივე!..

ერთმა დაიწყო... აწ ურიცხვნი ვართ
და კიდევ უფრო გავათასდებით,
ჩვენი მიზანი უეჭვო არის:
წინდაწინ ვიცით, არ გავფასდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე-სიცივის ტახტს, მთელ სამეფოს
ჩვენ მივესევით, როგორც კალია!
ამას გვავალებს ჩვენ-ჩვენი აწმყო
და გადამხდელი მომავალია.
მაშ, მედგრათ! მარჯვეთ! დაჰკარ წერაქვი!
წინ გავიტანოთ ჩვენი ნაპირი...
ჩვენ მხარი მივსცეთ ერთი მეორეს,
შუა გავიყოთ ლხინი და ჭირი!"

**ხნიერი მგზ.** აი, ხედავ შენ იქ, წინ მოხუცსა?
მის სახეს შვენის ხშირი ჭაღარა,
ხომ გესმის მაინც, გმირულ კილოზე
როგორ გაჰკივის მისი ნაღარა!

**ყმაწვილი მგზ.** მოწინავეა?!

**ხნიერი მგ .** დიახ, ის არის!
პირველ მთის ბილიკს ის შემოუდგა:
ბევრი წვალება გამოიარა
და დღეს ჰა, შვების წამიც დაუდგა!
გადახალისდა მოხუცის გული,
გაუორკეცდა მუხლებში ძალა,
როცა იხილა თავის გარშემო
მისებრ მავალთა მთელი ამალა.
ის წინ მიგიძღვის, ჩვენ მას მივყვებით
ის გზის მკვლევია, ჩვენ-კი გზის მჭრელნი
ჩვენი იმედი არის ჩვენივე
ლომი გულები და გამრჯე ხელნი!..

—

„წინ!.. წინ!.." მოხუცი დასძახის ლაშქარს
და ლაშქარიც წინ მიიწევს ნელა:
ვერ რა აჩარებს, თუმც გზა ძნელია,
შიმშილი როკავს, ცივა და ბნელა..
ჩირაღდინებზე ანთებულ ცეცხლის
გზას უნათებენ იმათ სხივები
და მთისა აღმართს მხნედ აწვებიან
გულით ამაყნი, ვით არწივები!
ჩუ! იქ წინ ჯაჭვმა დაიჩხრიალა...
ამირანია, ქედს მიჯაჭვული!..
ჯაჭვი დალეწეს და გაუმრთელეს
გმირს ყვავ-ყორნისგან ნაძიძგნი გული!
და გმირიც ლაშქარს შემოუერთდა:
მანც წინ გასწია, უფრო მხნედ სხვებზე,
ხელში აილო მძიმე წერაქვი:
ოფლი წურწურით დაასხა ქვებზე..
ასე მიიწევს წინ მგზავრთ ლაშქარი,
თანაც მრისხანეთ შესძახის მთასა:
„მთავ, სად არიან შენნი გუშაგნი?
რად არ იღებენ წყეულნი ხმასა?!"
ძრწოდეთ წყვდიადო, აფთარ-შიმშილო
და მეფე-ყინვავ აწ ხომ გაიგეთ,
ბოლო ელება თქვენს ძლიერებას:
თქვენი სამეფო უკვე ავიღეთ!..

**ჭოჭინავე.** „ჰა, მთის მწვერვალიც ჩვენს წინ,
მოძმენო!"
— „ჩამოანგრიეს!" დაიგუგუნეს..
პასუხად ლომმა და წერაქვებმა
ჰაერში მედგრათ დაიზუზუნეს!..

—

მთისა გადალმა დილის გარიჟრაჟს
ზე აღემართა თვისი ალამი
და მოელვარე სხივების სახით,
გამარჯვებულებს უძღვნა სალამი.
ოფლით გამურულ მათ სახეებზე
რიჟრაჟის შუქმა გაითამაშა...
და აყიჟინდა ერთხმად ლაშქარი,
მანაც განთიადს შესძახა: „ვაშა!"
ამ დროს-კი... ყინვა, შიმშილ-წყვდიადი
მთა-გორათ შორის, ვით ეულები,
უგზო-უკვლოთა ეხეტებოდენ
გულ-მკვდარნი, იმედ დამსხვრეულები.
გადახვეოდენ ერთი-მეორეს,
სტიროდენ... მაგრამ სტიროდენ მწარეთ!..
და მთა.. მთა დღემდის ისე ამაყი
აწ მათ წინაშე იდგა მდუმარეთ!..

**ნ. ზომლეთელი.**

# შავი სამეფოდან

## (ჭიათურა)

(უმავთულო ტელეგრაფი)

ადგილობრივ სასამართლოს მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს: ვინაიდან ხალხს უმეტეს ნაწილად 25—40 ვერსის სიშორიდან უწევთ სამსჯავროში სიარული, ამიტომ სხვა და სხვა საჭირო ქაღალდების, ან საბუთების მისაღებათ თვე-ნახევრის მაგივრად აკმარონ სამი კვირის ყოველ დღიური სიარული ამ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით მიეგება სასამართლოს სეკრეტარიც, რისთვისაც უღრმესი მადლობის ნიშნად ხალხმა ადრესი მიართვა.

—

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დაწესებულებათა ზოგიერთ მოსამსახურეებს გადაუწყვეტიათ: მომავალ სიეზდისთვის ვექილობები აღარ მოჰკრიბონ და არ გადასცენ საბჭოს. ასეთი გულის-წყრომა გამოუწვევია ჯამაგირის მოუმატებლობას.

—

კომპანია „მეჩხერის ჯაუფი" დაეძებს გამოცდილსა და გამოიმასქნილებულ ვექილს, იმ ფულების ასაკრებათ, რომლებიც დაიხარჯა მეჩხერის „სპუსკის" სადღესასწაულო სადილზე. დაპატიჟებულნი იყვენ მარტო უცხოელნი, ხოლო რაც შეეხება ცხოველებ— ეეი. არა უცხოელებს, უნდა გადაეხადათ ყველას თავ-თავიანთი ხვედრი. როგორც სჩანს. **ნებით არავინ იხდის.** ვექილთათვის პირობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგება შეიძლება ბურჯანაძის სამიკიტნოში ვალიკო ბერიძესთან. საქმე სასარგებლო და ხელ საყრელია.

—

შავი ქვის საბჭოს ინჟენერს ბ **ნ** საპიცკის ახალი „სპუსკის“ პროექტი შეუმუშავებია, რომლის საშვალებითაც ქ. ქუთაისიდან საბჭოს კანტორა პირდაპირ ჭიათურაში უნდა გადმოეშვას. როგორც გავიგეთ, საბჭოს ეგ პროექტი **ერთ-ხმად** მოუწონებია და მისი დეტალურად განხილვა მიუნდვია განსაკუთრებულ საჩქარო კომისიისთვის. რომ კომისიამ უფრო დააჩქაროს მისი განხილვა და სისრულეში მოყვანა, ამისათვის კომისიაში მოწვეულნი არიან ბ-ნი ზდანოვიჩი, თ-დი კიტა აბაშიძე და ბ-ნი კრინიცკი. დანამდვილებით ამბობენ, რომ პროექტი მოსწრებულ და წარდგენილ იქნება უსათუოდ 1921 წლის შავი ქვის მრეწველთა მორიგი კრებისათვისათ.

—

ადგილობრივმა სახალხო უნივერსიტეტმა ამ ერთ კვირაში გამართა 168 ლექცია სხვა და სხვა მეცნიერულ ტემაზე.

—

აქაური ბანკის თავმჯდომარეს, თ-დი კიტა აბაშიძის სახელზე შეკითხვა მოსულა ინგლისის სხვა და სხვა ბანკებიდან, რომ მოსალოდნელი სამრეწველო კრიზისის გამო შეგვიძლიან თუ არა თქვენს ბანკში კრედიტი ვიქონიოთ და ფინანსიურის მხრივ საქმეების გამოსწორებამდე გაკოტრებიდან თავი დავიფაროთო . ბუხგალტერი და ,,დირექტორები'' დაეძებენ გაფაციცებით თავმჯდომარეს პასუხის მისაცემათ, მაგრამ ჯერ ვერსად აღმოუჩენიათ.

—

ჭიათურის შავი ქვის მაღაროს მუშები უკვე ორგანიზაციულად მჭიდროთ შეკავშირდენ და ერთხმად გადასწყვიტეს სამუშავო დღე დასწიონ 16 საათამდე.

ხოლო სამუშაო ქირა კი ასწიონ 45—55 კაპეიკამდე ადგილობრივი „პროგრესიული“ ელემენტები მუშების ასეთი ერთსულოვნებით აღტაცებულნი არიან და ბაზარზედაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მარგანეცის ფასმა უცებ აიწია $5^1/_2$-დან **5** კაპეიკამდე... ჩარჩ ბერძნებს გამოცოცხლება ეტყობათ.

ქ. წ—ლი.



# წინასწარმეტყველი.

(ოსკარ უაილდისა).

მწუხრია. ის ობლათ არის. შორიდან მოსჩანს ქალაქის თეთრი კედლები. ის მიდის იქით. როს მიუახლოვდა ქალაქის კარებს, მას შემოესმა მოცეკვავეთა მხიარული ყვირილი, უდარდელი კისკისი და მაღალი ხმა ქნარისა. კარებს დაურაკუნა—მცველმა გაუღო.

დაინახა მარმარილოს სასახლე მშვენიერ თაღებიანი. თაღები მორთული იყო ყვავილების ხვეულებით ეზო და ფანჯრები გაჩირაღდნებული იყო ლიბანის ხის ჟინჟლილებით.

მან გაიარა მარმარილოს დარბაზი, განვლო კიდევ ერთი მდიდრულათ მორთული დარბაზი და შევიდა სანადიმო საღრეო (საქეიფო) დარბაზში. მუნ იხილა მან ჭაბუკი გადასვენებული სავარძელსა შინა, რომელსა ემოსა ძოწეული, თავს უმშვენებდა გვირგვინი წითელი ვარდისა, ღაწვი ღვიოდა წითელი ღვინის სმისა გამო.

ის დაიხარა ჭაბუკისკენ, შეეხო მხარსა მისსა და რქვა მას.

— რაისათვის სცხოვრებ ეგრე? ჭაბუკმა აღიღო თავი, იცნო წინასწარმეტყველი და სიცილით უპასუხა:

— მე კეთროვანი ვიყავი და შენ განმკურნე... განა მე ძალმიძს ვიცხოვრო სხვანაირათ...

წინასწარმეტყველმა დაუტევა სახლი იგი და ვიდოდა ქუჩებში

იხილა ქალი, რომლისა სახე იყო შეფერ უმარულებული, ემოსა მსუბუქი ტანისამოსი, ფეხთსაცმელი მისი იყო ოქრო-მკერდით ნაკერი, შემკული თვალ მარგალიტით. მას ფეხ-აკრეფით (ვით მონადირე) ეპარებოდა ჭაბუკი, რომელსა ესხა ფერადი ქლამინდი.

სახე დედაკაცისა იყო მომხიბლავი, იყო ნათელი, ვითარცა მარმარილო წარმათთა ღმერთისა, ხოლო თვალები ჭაბუკისა იყო აღგზნებული ვნებათა ღელვით.

წინასწარმეტყველი დაეწია ჭაბუკს, მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— რაისათვის უჭვრეტ ცოდვილ დედაკაცს?

— ჭაბუკმა მოიხედა, იცნო წინასწარმეტყველი და უპასუხა:

— მე სიყრმით ბრმა ვიყავ, შენ აღმიხილე თვალები, მომეცი ნიჭი მხედველობისა, აბა რაღას უნდა ვუცქირო?..

წინასწარმეტყველი მსწრაფლ განეშორა ჭაბუკს, დაეწია დედაკაცსა მას, შეეხო ზიზილ-პიპილოვან მის ტანისამოსს და უჩურჩულა:

— განა არ ძალგიძს იარო სხვა გზით, დაგმო გზა ცოდვისა?



ქართველი ინტელიგენტი: ნეტავი ახლა ვინა გადასამახოდო?! თითქმის ჩემს გვერდს რაგინ ლამხრებიან!

დედაკაცმა ყელი მოიღერა—იცნო წინასწარმეტყველი და ღიმილით უპასუხა:

—მე შენ შემინდე ცოდვანი, შეცოდების გზით სიარული კი ძრიელ სასიამოვნოა. წინასწარმეტყველმა დაუტევა ქალაქი.

ქალაქ გარეთ იხილა მჯდომარე ჭაბუკი, ,,მღვრელი ცრემლისა ცხარისა‘‘, წინასწარმეტყველი შეეხო მის ხუჭუჭ თმას და ტკბილათ ჰკითხა:

— რა არის ეს ცრემლები?

ჭაბუკმა აღილო თავი, იცნო წინასწარმეტყველი და ნაღვლიანათ უპასუხა:

— მე ვიყავ მკვდარი და შენ აღმადგინე მკვდრეთით—როგორ არ ვიტირო?

**ანწლაძე.**

---

# ორი სიტყვა.

I

ოჰ, ნუ მაჩვენებ მწუხარე სახეს,
მე ცრემლს აღარ გთხოვ, ჩემო სულის დგმავ,
გვეყოფა გლოვა... სევდის ღრუბელით
ცხოვრების გზასა ნუ დამიჩრდილავ.
რომ გულ-შემზარათ მოქუშულია
მიდამო არე, ცის კაბადონი
და უტიფარათ თავს დაგვხარხარებს
ბნელეთის შვილი ბილწი დრაკონი,
რომ ულონოთ სცემს სიცოცხლის მაჯა
ნება მოკლული, მიდუნებული
და იდეალი ჩვენი მზე-მთვარე
ტყვეთა ჰყავთ, ჩვენგან დაშორებული,
ეგ ნუ შეგაკრთობს . დე ვზიდოთ, ვზიდოთ
გოლგოთისაკენ წამების ჯვარი,
დე დაგვცინოდეს, ქვა-ლოდს გვესროდეს
სიმართლის მტერი, პილატეს ჯარი.
თვით ამ ტანჯვაში ჩვენი იდეა
ჰპოულობს ერთგულთ, ნელ-ნელ მძლავრდება,
ადრე თუ გვიან გაარღვევს საფლავს,
სიჯოცხლის მნათად ცათ ამაღლდება
მაშ სულის სწორო ჩემ თვალთა წინა
გულის აღმტაცათ გაიელვარე
და ტკბილ მომავლის იმედის შუქით
გმასხივოსნე სახე მწუხარე.
თვით ამ ტანჯვაში გამოჰქარგევი
უკვდავი ჰანგი. . მით გამახარე,
სიცოცხლე მტყორცნე... ჩემო სულის დგმავ
მძაგს მე სიკვდილი... შავი სამარე!

II

ახ, რა კარგია, რა-რიგ წარმტაცი
როს კაბადონზე დაცურავს მთვარე!
რაღაც ნაზ, სრულად სულის წარმტყვევნელ
ნათელში ცურავს მიდამო-არე.
მთანი მაღალნი ცათ ატყორცნილნი
ჰალებს ამაყათ გადმოსცქერიან
და მათი ჩროილნი, ფართოთ გაშლილნი
თითქოს საკუთარ სიცოცხლით თრთიან.
სათუთ ბალახებ, ბედით ვაგლახებს
მოვლინებიათ შვებისა წამი,
მათ ნელი სიო აკვანსა ურწევს,
მაღლით ეპკურვის ციური ნამი.
ტბა გარინდული, დაობლებული
ვიშ რა დიადათ გადაქარგულა!
მშვენიერება მთელი ბუნების
განგების ხელით შიგ ჩახატულა.
ბაღში ღეროზე ვარდი ერწევა,
მას არ აწუხებს დარდ-კაეშანი,
ბულბული ტრფობით ლხინსა ეძლევა,
უსტვენს და უსტვენს გრძნობის მგოსანი.
ოჰ ამ დროს!.. ვაჰმე! რად ვარ ობოლი?
როს ცაც-კი ლხინობს მე რად ვიტირო?
არა!.. მო ჩემთან ჩემო სულის დგმავ,
შენი მგოსანი აღარ გამწირო.
მეც შენ გიმღერებ ვითა ბულბული,
შენზე უზომოთ შეყვარებული...
დაე იცოდენ.. ბრაზით დაიღრჩვეს,
ჩვენი დუშმანი, ჩვენი ორგული!..

**ნ. ჩხიკვაძე.**

---

# ბ ა თ უ მ ი დ ა ნ.

ამხანაგო ეშმაკ! არ ვიცოდი თუ თქვენი ბათუმელი აგენტების მახვილ გონებას და გამჭრიახ თვალებს ისეთი დიადი მოვლენა გამოეპარებოდა, როგორიც არის ბათუმის ,,შეგნებული‘‘ ნაწილისაგან **„კომმერჩესკოე სობრანიე“**-ს დაარსება.

ეს „სიმპატიური“ დაწესებულება ერთი წელი არც კია, რაც დაარსდა და ამ დროის განმავლობაში საკმაო ნაყოფი გამოიღო; ყოველ კვირა-უქმ ღამეობით ამ დაწესებულებას აუარებელი ხალხი აწყდება: для выбора царицы бала. მიზანი ამ დაწესებულებისა რთულია და მრავალ-აზროვანი; წესდება მოკლე და საყურადღებო. აქ მოკლეთ მომყავს წესდების რამოდენიმე მუხლი, დანარჩენ ახსნა-განმარტებას ამ „სობრონიე“-ს შესახებ ვრცელი მოხსენებით წარმოგიდგენ.

მუხლი ა) არშიყობა მაქსიმუმამდე.

(შენიშვნა: რადგან ქალთა უფლება არც ერთ კულტურულ ქვეყანაში, და მით უმეტეს რუსეთში, არ არის გათანასწორებული კაცთა უფლებასთან და ისინი დაჩაგრულთა კლასს წარმოადგენენ, ამისათვის საჭიროა მათი გართობა და ,,სულიერათ ამაღლება‘‘. ამ მიზნის განსახორციელებლათ თითეული წევრი იხთის „სობრანიე“-ში შესვლის ქირას ერთ

მანეთს, ,დამების“ საკომპლიმენტოთ თითო მოზრდილ კოლოფ ,,ირისის“ ან ,,კისკისის“ ფირმის კომფეტს; „царицы бала“-ს ასარჩევათ თითეული წევრი ვალდებულია იყიდოს „კონტრამარკა“ *). ხოლო კონტრამარკის რაოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია სქელ ჯიბეზე.

ბ) შემსვლელს ნება არ აქვს დილის ოთხ საათამდე წავიდეს. (შენიშვნა: ეს იმიტომ, რომ ,,დამებმა“ ,,სკუჩნათ“ არ იგრძნონ თავი).

გ) შემსვლელს არ აქვს უფლება უარჰყოს ბახუსი, კარტი, ნარდი და ლოტო. (შენიშვნა: ეს მუხლი უფრო იმათ ეხება, ვისაც თავისი ,,დამა“ არ ჰყავს, თუ სხვა მისი თანამოაზრენი ,,დამებით“ ერთობიან, ისინი კარტ ნარდი-ლოტოთი უნდა გაერთონ).

დ) გახსნან განყოფილებები: ,,გოროდოკში“, ,,სოუქ სუზე“ და სხვა მახლობელ უბნებში;

ე) გადაათვალიერონ და შეამსონ არსებული წესდება ,,სობრანიისა“; რისთვისაც არჩეულ იქმნა კომისია ხუთი პირისაგან. შემდეგი იქნება.

**„ნავთი“.**

---

*) წესათ არის შემოღებული: სალამოს გამგეთ მამაკაცები ირჩევენ ქალებს. არჩევნების ხმის მისაცემათ საჭიროა კონტრამარკის შეძენა, რომელიც იქავე იყიდება თითეული კონტრამარკა ათ შაურათ; ახახელებენ რამოდენიმე კანდიდატკებს, ყიდულობენ კონტრამარკებს და სთავაზობენ დასახელებულ პირებს, ბოლოს სთვლიან და ვისაც მეტი აღმოაჩნდება, არჩეულიც ის არის. ხშირათ კონფლიქტიც მოსდის არჩევნებზე.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს, თქვენს პატივცემულ ჟურნალში „მათრახ-სალამური“-ს მე-21-თე №-ში მოთავსებულია ბ.ბ. ივლიანე ნინიძის და იოსებ მარგველაშვილის წერილი, სადაც მათ უცოდველ მტრედათ გამოჰყავთ თავიანთი თავი და მე-კი, ლამის არის ავაზაკის სახელით მომნათლონ. (მახლას!) ყველამ იცის, რომ დღევანდელ პირობებში მეტათ ძნელი და სიხიფათოა კორესპონდენტების მდგომარეობა; ყველამ იცის, რომ ვითომდა შეურაცყოფილთ მეტად აინტერესებს კორესპონდენტის ვინაობის გაგება, ვინემ სიმართლის აღდგენა და ამ შემთხვევაშიც ბ.ბ. ივლიანეს და იოსების მიზანიც ეს არის; თორემ დარწმუნებლი ვარ ასეთ ბაქი-ბუქს არ დაიწყებდენ.

მე დიდის სიამოვნებით ვეთანხმები მათ წინადადებას, სამედიატორო სასამართლოზე.—ჩემის მხრიდგან ვასახელებ ი. მშ—ძეს, ხოლო რადგან მე დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს საქმის გარჩევას დავესწრა, ჩემ მაგიერ დაესწრება ი. მ—ძე, რომელსაც ეგზავნება ყოველივე მასალა ამ საქმის შესახები.

ხოლო მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაშორებლათ მე მოვითხოვ მათგან ჩემი მედიატორის დარწმუნებულის სოულ უზრუნველყოფას.

პატივისცემით **„გარეშე“**

---


## იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . . 2—50 კ.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ-ფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

---




ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქნებში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 | | — 35 к. | 16 | „ | — 5 р. 10 к. |
| № 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д № 81
Михаилу Николаевичу Кодалову. 0—4


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. «შრომა„ რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ნ. ს. ხულხანიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელმწიფო დუმის ცენტრი დასასვენებლად მიდის.



**ექიმი.** ავათმყოფს მყუდროება და კარგი საჭმელი მოუხდება!



ტყვილათ დახოხავ! ახლა ფრთებია საჭირო, ფრთები!